

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>ადამიანის ზემოქმედების შედეგად მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, ტყის ფართობების კატასტროფული შემცირება, რაც უარყოფითად მოქმედებს ბუნების თვითაღდგენად ფუნქციებზე. ტყის შენარჩუნება, აღდგენა და დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომლის დადებითად გადაწყვეტასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სატყეო მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რასაც სატყეო საქმის პროგრამა ემსახურება.</p> <p><b>პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს:</b> ტყის პროდუქტიულობის გონივრული მართვა და მდგრადი გამოყენება; დეგრადირებული ფართობების აღდგენის თანამედროვე მეთოდები; მერქნის გამოყენება, ტყის წყალშემნახავი, ნიადაგდაცვითი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქციები; ტყის განახლება, ტყის ფონდის ორგანიზაციის აღწერა-აღრიცხვა, ტყის რესურსების ბრუნვა და კვლავწარმოება, მის საფუძველზე სწორი ტყეთმოწყობის ორგანიზაცია; ტყის მცენარეთა მავნებელ – დაავადებებისაგან და ხანძრებისაგან დაცვა.</p>
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>აცნობიერებს სატყეო საქმის მნიშვნელობას გარემოს დაცვის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში;</p> <p><b>იცის:</b> საქართველოს ტყეების ბუნებრივი პირობებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების ზოგადი დახასიათება; ტყეების დაყოფა ფუნქციონალური დანიშნულების (კატეგორიების) მიხედვით, ადგილობრივი და ინტროდუცირებული მერქნიანი სახეობების სისტემატიკური ანალიზი და ზოგადი კანონზომიერება მათ წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებით; რაციონალური ტყეთსარგებლობა, ტყის დაცვა, დეგრადირებული დაბალპროდუქტიული ტყეების აღდგენა-განახლების უახლესი ტექნოლოგია; სატყეო საქონელმცოდნეობის პრინციპები, ეკოლოგიური გარემო პირობებისა და მცენარის შინაგანი პროცესების ურთიერთობები; ტყეთმცოდნეობისა და მეტყევეობის ზოგადი კანონზომიერებები, კორომების აღნაგობის, ტყის ჭრების, ტყის აღდგენის თანამედროვე მეთოდები; კორომის სატაქსაციო აღწერა, ხე-ტყის მოცულობის და ნამატის განსაზღვრა; ხე-ტყის დამზადების, ხე-ტყის ტრანსპორტირების, მერქნის ჭრის, სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობების დამზადების, მერქნისა და ნარჩენების ქიმიურ გადამუშავების საკითხები; ტყის მცენარეთა მავნე ორგანიზმები, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და გარემოს დაცვის პრინციპები;</p> <p><b>-შეუძლია:</b> ტყეების დაყოფა ფუნქციონალური დანიშნულების (კატეგორიების) მიხედვით, ადგილობრივი და ინტროდუცირებული მერქნიანი სახეობების სისტემატიკური ანალიზი ; ტყის დაცვა, დეგრადირებული დაბალპროდუქტიული ტყეების აღდგენა-</p>

	<p>განახლება; მაღალხარისხოვანი სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანისათვის სატყეო -სანერგის მოწყობა, და ძირითადი ტყის სახეობათა ნერგის აღზრდა; ტყის კულტურების წარმოება და სატყეო საკულტურო დარაიონება; ტყის მცენარეთა დაავადებების ამოცნობა და მათ წინააღმდეგ ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება; განსაზღვროს კორომში მიმდინარე ცვლილებები და განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დაგეგმოს ჭრები; დამოუკიდებლად განსაზღვროს ტყის სიმწიფე და აწარმოოს ტყის ინვენტარიზაცია; ტყის ჭრის სისტემებსა და სახეებზე გამოყოფილი ტყესაკავების დამუშავებისა და ათვისების ტექნოლოგიური სქემების და ტექნიკის შერჩევა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ხე-ტყის გამოზიდვა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით, სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობათა დამზადება, მერქნისა და ნარჩენების ქიმიური გადამუშავება;</p> <p><b>-შეუძლია</b> სატყეო საქმის პრობლემებზე და საერთოდ აგრარულ დარგში ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და პრობლემის გადაწყვეტისათვის შერჩეული მიდგომისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების პრობლემებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, ინფორმაციის გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენაზე ზეპირად ან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით -აქვს ჯგუფური მუშაობის, ინტერპერსონალური ურთიერთობის ეფექტურად ორგანიზებისა და სასურველი მიმართულებით წარმართვის უნარი. ტექსტებზე, რუკებზე, სქემებზე, ნახაზებზე და სხვა დიდაქტიურ მასალაზე მუშაობის და ინტეგრირებული მეთოდებით სწავლის უნარი.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b>  ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.  (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>ვანო პაპუნიძე- სრული პროფესორი. 9 35 31 (სამსახური), 7 33 27 (ბინა); 599 262687 577 445558. ელ.ფოსტა: <a href="mailto:Vano.papunidze@mail.ru">Vano.papunidze@mail.ru</a>  დავით გვიანიძე ასოც.პროფესორი. 597-88-26-50 ელ.ფოსტა: davidgvianidze @ web. de</p>